სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 6 23 0001741346

20/12/2023

აკადემიური საბჭოს წევრის ვაკანტურ ადგილებზე არჩევნების დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 57-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-7 მუხლის, მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ" დებულების (შემდეგში - არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულება) მე-2 მუხლის მე-2-მე-4 პუნქტების, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-9 და მე-10 მუხლების შესაბამისად, სტუ-ს აკადემიური საბჭოს მდივნის, ბატონ იაშა(კოკა) კუტუბიძის 2023 წლის 18 დეკემბრის MES 9 23 0001726111 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2024 წლის 23 იანვარს დაინიშნოს არჩევნები უნივერსიტეტის ფაკულტეტებიდან და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულიდან აკადემიური საბჭოს წევრის შემდეგ ვაკანტურ ადგილებზე:

სამშენებლო ფაკულტეტი - 2 ადგილი;
ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი - 2 ადგილი;
სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი - 1 ადგილი;
აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი - 2 ადგილი;
ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი - 1 ადგილი;
საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 1 ადგილი;

არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი - 2 ადგილი;
სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტი - 2 ადგილი;
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ტექინფორმი - 1 ადგილი.

2. აკადემიურ საბჭოს წევრად ფაკულტეტებიდან აირჩევა ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულიდან (გარდა ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულისა) აკადემიური საბჭოს წევრად აირჩევა ამ ერთეულის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, გარდა საბჭოს თავმჯდომარის და დირექტორისა.

3. აკადემიური საბჭოს წევრს ფაკულტეტებიდან ირჩევენ ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი და ფაკულტეტის საბჭოს წევრ - სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები. აკადემიური საბჭოს წევრს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულიდან ირჩევს შესაბამისი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის ყველა წევრი.

4. აკადემიური საბჭოს წევრი აირჩევა ოთხი წლის ვადით. აკადემიური საბჭოს წევრად პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. აკადემიური საბჭოს წევრს არ შეიძლება უნივერსიტეტში იმავდროულად ეკავოს ადმინისტრაციული თანამდებობა, გარდა რექტორისა, ან იყოს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრი.

5. კანდიდატთა რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2024 წლის 09 იანვრიდან 2024 წლის 16 იანვრის ჩათვლით.

6. კანდიდატებმა განცხადება უნდა შეიტანონ შესაბამისი ფაკულტეტის/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის საარჩევნო კომისიაში. განცხადებას თან უნდა დაერთოს:
ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პ/მოწმობის, პასპორტის) ასლი;
ბ) ცნობა ტექნიკური უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტზე/დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში დაკავებული აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობის შესახებ.

7. შესაბამისი ფაკულტეტების საბჭოებმა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭომ 2024 წლის 09 იანვრამდე უზრუნველყონ საარჩევნო კომისიების შექმნა და არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

8. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ (კ.კოპალიანი) უმოკლეს ვადებში უზრუნველყოს საარჩევნო სიების წარდგენა შესაბამისი ფაკულტეტების/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის საარჩევნო კომისიებისათვის და არჩევნების ორგანიზებისა და ჩატარებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

9. არჩევნები ჩატარდეს არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულების შესაბამისად.

10. არჩევნების შედეგები გამოქვეყნდეს არჩევნების დამთავრების შემდეგ თვალსაჩინო ადგილზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

11. ბრძანება გამოცხადდეს საჯაროდ და გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე განთავსდეს შესაბამისი ფაკულტეტების/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის შენობებში თვალსაჩინო ადგილზე.

12. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოს სტუ-ს საქმისწარმოების დეპარტამენტმა.

13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

რექტორი
გურგენიძე დავით